საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №39

ქ. ბათუმი 3 აპრილი, 2018 წ.

„ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების №1 დანართის:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისათვის მომზადების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელიც. ‘’

ბ) მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს 3^1-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3^1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებულ მიმართულებას/ დარგს.

2. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს. ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთიდაიგივე საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი პროგრამის ხელმძღვანელი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;

ბ) პროგრამის სრულყოფის მიზნით პროგრამის შიდა და გარე შეფასების, მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგების ანალიზსა და რეაგირებაზე.

4. **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:**

ა) ვალდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმართოს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასების პროცესი;

ბ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას;

გ) ითანხმებს პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატურებს და მათ აკადემიურ ან/და საათობრივ დატვირთვებს;

დ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დაცვას;

ე) ვალდებულია ითანამშრომლოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;

ვ) ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;

ზ) ვალდებულია ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირების პროცესში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კოდიფიცირებული ვერსია განთავსდეს იურიდიულ ცნობარში).

3. დადგენილება შესასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**